UDC 316.4
SCOPUS CODE 3318
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-437-444

გენდერული სტერეოტიპების მახასიათებლები

მაია ყიფიანი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kipianimaia@gmail.com

მაია თოფურია სოციალურ მეცნიებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: topuriamaia12@gtu.ge

რეცენზენტები:

ლ. მეტრეველი, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: metreveli.lia@mail.ru, metrevelilia@gtu.ge

ე. ალავერდოვი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: alaverdoviemilia07@gtu.ge

ანოტაცია. მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე დემოკრატიულ სახელმწიფოებში დიდი ყურადღება ეთმობა სქესთა თანასწორობის საკითხს, სრულყოფილი თანასწორობა მაინც არ არის მიღწეული. ამის მიზეზი სტერეოტიპული აზროვნებაა. გენდერულ თეორიაში საყურადღებოა სტერეოტიპული კლიშეები, რადგან ისინი საზღვრავენ ქალის მიმართ დამოკიდებულებებს. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ტრადიციული გენერული სტერეოტიპული აზროვნება ხშირად ქმნის ხელოვნურ ბარიერებს, უფსკრულს ქალისა და მამაკაცის გენდერულ როლებს შორის. ახსნილია გენდერული სტერეოტიპების არსი, მისი უარყოფითი გავლენა საზოგადოების მენტალიტეტზე. მოყვანილია McKinsey-ის 2023–2024 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი. სტატიაში წარმოდგენილია გენდერული პოლიტიკის შედეგად მიღწეული ერთ-ერთი შედეგი – თანამედროვე მსოფლიოში ქალი პოლიტიკოსების სიმრავლე. ყურადღება გამახვილებულია ლიდერ ქალთა დაწინაურების ხელშემყობ ერთ-ერთ ინსტრუმენტზე – არავერბალურ კომუნიკაციაზე. წინა პლანზე წამოწეულია ქალი პოლიტიკოსების ძირითადი თვისებები – მტკიცე ხასიათი, მიზანსწრაფულობა, შეუპოვრობა, მოთმინება, რომლებიც წინათ მამაკაცებს მიეწერებოდა. ხაზგასმულია, რომ მიუხედავად ფემინური და მასკულინური თვისებების დაახლოებისა, გენდერული სტერეოტიპები საბოლოოდ არ დამსხვრეულა, რადგან მენტალური ცვლილებები ნელა მიმდინა-

რეობს. გენდერული სტერეოტიპების მახასიათებელი მისი მდგრადობაა.

საკვანძო სიტყვები: არავერბალური კომუნიკაცია; გენდერი; ეგალიტარიზმი; მენტალიტეტი; სტერეოტიპები; სქესთა თანასწორობა; ქალი პოლიტიკოსი.

შესავალი

თანამედროვე ეპოქამ ახალი გამოწვევები წარმოაჩინა, ერთ-ერთი მათგანი ქალის ფენომენის ახლებური გააზრებაა. დღეს ეგალიტარიზმის პრინციპები უაღრესად აქტუალურია; შესაბამისად, ტრადიციული პატრიარქალური, ურთიერთობები, რომელებიც იერარქიულია და დომინაცია-სუბორდინაციაზეა დამყარებული, თანდათანობით თანასწორი ურთიერეთობებით იცვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესთა თანასწორობის საკითხი. გენდერულ თეორიაში საყურადღებოა სტერეოტიპული კლიშეები, რადგან ისინი საზღვრავენ ქალის მიმართ დამოკიდებულებებს. გენდერული ურთიერთობები კროსკულტურულია და სტერეოტიპები განსაზღვრავს, რომლებიც სტატუსთან, როლებთან, იდენტიფიკაციებთან არის დაკავშირებული. სოციალური სტატუსი გულისხმობს დადებით ან უარყოფით პრესტიჟსა და რეპუტაციას, რომელსაც საზოგადოების წევრები ანიჭებენ ჯგუფებს ან ინდივიდებს. სოციალური სქესი ქვეყნის კულტურით, ისტორიით, საზოგადოების მიერ ადამიანისადმი წაყენებული მოთხოვნით, აღზრდის სისტემით და სხვა მდგენელებით ყალიბდება.

გენდერული როლები კონსტრუირდება სპეციფიკურ კულტურულ გარემოში. გასათვალისწინებელია, რომ ე. წ. ,,ქალური“ და ,,მამაკაცური“ როლები სიტუაციის შესაბამისად იცვლება. გენდერის მკვლევარი გ. ლორბერი აღნიშნავს, რომ ,,გენდერი არის სოციალური როლების კრებული, კოსტიუმი, ნიღაბი, რომელსაც ქალები და მამაკაცები ირგებენ“ [11]. სოციალური სტატუსისა და როლის საფუძველზე ხდება სოციალური ჯგუფების იდენტიფიკაცია. ქეით მილეთის აზრით, პატრიარქატი მამათა ძალაუფლების ხანაა, რომელშიც ქალი მამაკაცის მიერაა დამორჩილებული [4]. პითაგორა ამბობდა: ,,არსებობს კეთილი საწყისი, რომელმაც შექმნა წესრიგი, სინათლე და მამაკაცი! და არსებობს ბოროტი საწყისი, რომელმაც შვა ქაოსი, სიბნელე, და ქალი“.

პატრიარქალურ აზროვნებაში, რომელიც ანტიკური პერიოდის ფილოსოფიიდან იღებს სათავეს, ქალი იდენტიფიცირებულია მეორეხარისხოვან არსებად, შესაბამისად ჩამოყალიბდა ქალის არაპრესტიჟული გენდერული სტერეოტიპი, სადაც იგი მარგინალიზებული და დათრგუნულია. ცნობილია, რომ რელიგია დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის მსოფლმხედველობაზე, ცხოვრების წესზე. მაგალითად, ქალის მიმართ ქრიტიანული რელიგია ამბივალენტურია, ძველ აღთქმაში ევა ცოდვის სიმბოლოდ მიიჩნევა, ხოლო ახალ აღთქმაში მარიამ ღვთისმშობელი – სიწმინდის ეტალონად.

ძირითადი ნაწილი

ტერმინი „სტერეოტიპი“ ბერძნულიდან მომდინარეობს და მყარ ანაბეჭდს ნიშნავს, რომელიც სათავეს სტამბიდან იღებს და ტყვიისაგან ჩამოსხმულ საბეჭდ ყალიბს, ფორმას აღნიშნავს. ტყვიის გარკვეულ

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ფორმაში ჩასხმის შემდეგ საგანი ძნელად იცვლება. სოციალურ მეცნიერებაში ,,სტერეოტიპს“ იგივე ფუნქცია აქვს მაგრამ არა პირდაპირი მნიშვნელობით, ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს მყარ შეხედულებებს [2]. ზოგადად, სტერეოტიპი გულისხმობს ჯგუფებთან მიკუთვნებულობასა და მოლოდინებს. როდესაც ახსენებენ რომელიმე პროფესიის წარმომადგენელს – მეცნიერს, მასწავლებელს, ექიმს, მუშას, გამყიდველს და სხვა, ადამიანის წამოსახვაში ჩნდება სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანთა რიგი და მათ მიმართ არსებული შესაბამისი მოლოდინები: გენდერული სტერეოტიპებიც ანალოგიურია. ქალისა და მამაკაცის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არსებულმა პატრიარქალურმა შეხედულებებმა შექმნა ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპი, ქალის – დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი, რომელზეც ბატონობაა შესაძლებელი და მამაკაცის – მბრძანებელი, პირველხარისხოვანი, დაუმორჩილებელი. მათ მიმართ მოლოდინებიც განსხვავებული იყო: მამაკაცისგან ელოდნენ მბრძანებლობას, ქალისგან – მორჩილებას. აღსანიშნავია, რომ გენდერული სტერეოტიპები დიქოტომიურია. იგი ჩამოყალიბდა ,,სხვა“ და ,,საკუთარ“ ჯგუფებთან მიმართების პროცესში, სადაც ,,სხვა“ ჯგუფი უარყოფითად არის მიჩნეული, ხოლო ,,საკუთარი“ – დადებითად. პატრიარქალური აზროვნების შესაბამისად ქალი ,,სხვა“ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, მამაკაცი კი დადებითს – ,,საკუთარს“ [14]. ტრადიციულმა აზროვნებამ განაპირობა სქესის თეორიების ბიოდეტერმინისტული ხასიათი და მკვეთრად გამოხატული მიზოგინურობა. სქესის აღქმაში წამყვანი ადგილი დაიკავა ბინალურმა ოპოზიციამ – გონებამ და სხეულმა. გონება დადებით მახასიათებლად მიიჩნევა და მამაკაცურ საწყისს უკავშირდება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სულიერება, შემეცნება, რაციონალურობა, აქტიურობა, გარეგნობა. სხეული ქალურ საწყისად არის აღქმული, მისი მახასიათებლებია: სენსიტიურობა, შემეცნების უნარის არქონა, ირაციონალურობა, პასიურობა. ბინალური ოპოზიციის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ მამაკაცი სუბიექტია, ქალი – ობიექტი [3].

აღნიშნული შეფასებები საფუძვლად დაედო პატრიარქალურ აზროვნებას, რომელიც ნაწილობრივ დღემდე შენარჩუნებულია. მრავალი ადამიანი დღესაც იზიარებს ტრადიციულ გენდერულ სტრეოტიპებს, თვლიან, რომ გენდერული როლები საუკუნეების განმავლობაში არსებობს და ისინი ადამიანთა განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია და შესაბამისად უცვლელია. თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს მოსაზრება არარელევანტურად მიიჩნევა, რადგან მათი აზრით, დღეს არ არსებობს ტრადიციული გენდერული როლების საჭიროება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მამაკაცებს და ქალებს შეუძლიათ ერთი და იგივე ამოცანის ან სამუშაოს შესრულება [7].

XX საუკუნის შუა წლებიდან, დღის წესრიგში დადგა ქალისადმი დამოკიდებულების თეორიის გადააზრება, რომელიც სოციალური, ყოველდღიური, ყოფითი პარაქტიკიდან ამოიზარდა. გენდერულ თეორიას, როგორც აკადემიურ დისციპლინას, აქვს მიზანი, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული ყველა ტიპის გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. ქალი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს, რამაც ქალის მიმართ სტერეოტიპული შეხედულების ცვლილებები გამოიწვია.

თანამედროვე მეცნიერებაში შეიქმნა მდედრობითი სქესის დანიშნულების შესახებ ოთხი ძირითადი შეხედულება: პატრიარქალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეგალიტარული. ეგალიტარიზმის პრინციპი ეპოქის გამოწვევის შესაბამისი და თანასწორობის იდეის მატარებელია. XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოიქმნა ფემინიზმის მეორე ტალღა, რომელმაც ძირითადი ყურადღება გაამახვილა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ქალთა დისკრიმინაციის მიზეზების კვლევის პროცესში აღმოცენდა გენდერული თეორია, რომელმაც, როგორც მეცნიერულმა დარგმა განვითარება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ პერიოდში ინდივიდის სქესობრივი იდენტიფიკაცია, სოციალური კონსტრუქტის, სოციალური სქესის ჩამოყალიბების ეგზისტენციალური მიდგომა გახდა აქტუალური, დაიწყო ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზების კვლევა. განსაკუთრებული წვლილი გენდერული ხედვის ჩამოყალიბებაში მიუძღვით სიმონ დე ბოვარის ნაშრომს ,,მეორე სქესსა" და ქეით მილეთის ,,სექსუალურ პოლიტიკას". გენდერით თანდათან დაინტერესდა შემეცნების თეორიის მრავალი მიმართულება და მეცნიერებათა სისტემაში გენდერული კვლევა ინტერდისციპლინურ თეორიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა [4].

გენდერული თანასწორობა მრავალი მეცნიერის საკვლევი თემა გახდა, ესენია: რ. კოლინზი, ჯ. ლორბერი, მ. მიდი, ი. ჟერებკინა, ო.ვორონინა, ჯ. სკოტი სხვები. გენდერი გახდა ერთგვარი სოციალური საზომი კონკრეტულ კულტურაში, მას ახასიათებს მდგრადობისა და ცვალებადობის ელემენტები [6].

პატრიარქალურ ტრადიციულ საზოგადოებებში დამკვიდრებული წარმოდგენები ქალურსა და მამაკაცურზე, თანამედროვე ეგალიტარული მიდგომებით იცვლება. დღეს ქალურობასა და მამაკაცურობაზე შეხედულებები თანდათან ერთმანეთს უახლოვდება. ეპითეტები – ძლიერი, მიზანმიმართული, მებრძოლი, უშიშარი სულ უფრო ხშირად ქალის დასახასიათებლადაც გამოიყენება. სოციალურ ცხოვრებაშიც კარგად ჩანს აღნიშნული ტენდენციები, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის სამოსთან ერთად შემოვიდა ე. წ. ,,იუნისექსი" – ტანსაცმელი, სუნამო და სხვა აქსესუარები, რომლებიც როგორც კაცისათვის, ისე ქალისათვის არის გათვალისწინებული და მისაღები.

ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ ახალი შესაძლებლობები მისცა კაცობრიობას, მათ შორის ქალებს. McKinsey-ის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, სამუშაო ადგილზე მენეჯმენტის უმაღლეს დონეზე წარმოდგენილი ქალების რაოდენობა 17-დან 28 %-მდე გაიზარდა. კვლევის ანგარიშმა აჩვენა, რომ ქალები უფრო მეტად მიისწრაფვიან ხელმძღვანელი პოზიციების დასაკავებლად ვიდრე გასულ წლებში. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გავლენით, რამაც აჩვენა, რომ ჰიბრიდულ ან სახლიდან მუშაობის მოდელს შეუძლია დაბალანსოს მომუშავე დედების სამსახურებრივი პასუხისმგებლობები და საოჯახო საქმეები [13].

კოლინზის აზრით, ,,გენდერი" არის სოციალური რეპრეზენტაციების ერთობლიობა და არა ბუნებრივად არსებული მოცემულობა. გენდერი არის ის, რაც სქესი ხდება სოციალიზაციის დროს. ჯ. ლორბერის აზრით ,,გენდერი არის ინსტიტუცია, რომელიც ინდივიდისათვის წარმოშობს მოლოდინებს, მართავს სოციალურ პროცესებს ყოველდღიურ ცხოვრებაში"

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

[11]. დღეს არსებული მრავალი გენდერული სტერეოტიპი წარსულში არ არსებობდა და შედარებით ახალია ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა ისე დამკვიდრდა, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ ის ადრე არ არსებობდა. გენდერის უკანასკნელი პერიოდის კვლევებში აღნიშნულია, რომ ცისფერი – ბიჭების, ხოლო ვარდისფერი – გოგონების ფერებად ყოველთვის არ აღიქმებოდა. 1918-იდან 1940 წლამდე ვარდისფერს მამაკაცურ ფერად თვლიდნენ, ხოლო დახვეწილ და რბილ ცისფერს – ქალების შესაფერისად. მკვლევრები ასევე აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეებში, ევროპაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო განკუთვლილი და არა ქალებისთვის, ის ქუსლის სიმაღლიდან გამომდინარე განიხილებოდა „მამაკაცურობის“ დამადასტურებელად [8]. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლობა შუა საუკუნეებიდან მეტად პრესტიჟულ საქმიანობად მიიჩნეოდა, შემდეგ აღარ იყო ასეთი მომხიბვლელი, მაგრამ ახლა მამაკაც პედაგოგთა რაოდენობა გაზრდილია (საერთო რაოდენობის მეოთხედი). გენდერული როლები სახლის გარეთ ანაზღაურებად სამუშაოსთან დაკავშირებითაც იცვლება. Pew Research Center-ის კვლევამ აჩვენა, რომ 2023 წელს სახლში მყოფი მშობლების 18 % მამა იყო, 1980-იანი წლების ბოლოს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 11 %-ს შეადგენდა [9]. 2024 წლის პარიზის ოლომპიადამ ცხადყო, რომ ქალებს შესწევთ უნარი მონაწილეობა მიიღონ სპორტის ნებისმიერ სახეობაში და იყვნენ წარმატებულნი. დღეს ეს გაკვირვებას აღარ იწვევს და ნათლად წარმოაჩენს თუ როგორ იცვლება სტერეოტიპები დროსთან ერთად.

მსოფლიო ისტორია მრავალ ქალ პოლიტიკოსს იცნობს. XX–XXI საუკუნეების საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლებს მარგარეტ ტეტჩერსა და ანგელა მერკელს რკინის ქალბატონებს უწოდებენ, რადგან მათ კარიერის განმავლობაში გამოავლინეს ძლიერი ხასიათი, ნებისყოფა, შეუპოვრობა და პრინციპულობა. მსოფლიო პოლიტიკაში მრავალი ლიდერი ქალია, მათ შორის გვინდა გამოვყოთ კამილა ჰარისი – აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, ასევე იგი იყო 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი. აღსანიშნავია აგრეთვე ურსულა ფონ დერ ლაიენი, ევროკავშირის პრეზიდენტი, რომელიც 2019 წლიდან არის ამ პოსტზე.

საზოგადოება პატივს სცემს ლიდერებს, მაღალი თანამდებობის იმ პირებს რომელთაც მართვის სფეროში პროფესიონალიზმითა და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვით შეუძლიათ საკითხების მოგვარება. ქალებს გაცილებით მეტი ძალისხმევა, მოთმინება და ყოველდღიური შრომა სჭირდებათ მაღალი თანამდებობის დასაკავებლად და შესანარჩუნებლად.

ადამიანები ურთიერთობებისთვის ხშრად არავერბალურ კომუნიკაციას იყენებდნენ – ჟესტები, გამომეტყველება, ემოცია, მზერა. საინტერესოა გენდერული განსხვავებები არავერბალურ კომუნიკაციაში, ესენია:

- **ხმის რეგისტრი** – ქალები მიდრეკილნი არიან მაღალი ხმის ტემბრისკენ, რაც განპირობებულია საზოგადოებაში მათი პასუხისმგებლობის ზრდით. დაბალი ხმა ძალაუფლებასთან, საიმედოობასთან არის დაკავშირებული. ძალაუფლების მქონე ქალები (მაგ. პოლიტიკოსი) საგანგებოდ იყენებენ დაბალი რეგისტ-

რის ხმას უხერხული მდგომარეობის გასანეიტრალებლად;

- **მოდულაცია** – ქალები მიდრეკილნი არიან მზარდი ტონისკენ (დაახლოებით 5 ტონი) კაცები, საუბრისას იყენებენ დაბალ ტონს;
- **მახვილი** – მამაკაცები ხმამაღლა საუბრობენ და იყენებენ მახვილს, რათა ხაზი გაუსვან მნიშვნელოვან საკითხს;
- **წარმოთქმა** – ქალები უფრო გარკვევით მეტყველებენ, ვიდრე მამაკაცები;
- **გრამატიკა/ჰიპერკორექცია** – ქალები, ზუსტ გრამატიკულ ფორმებს იყენებენ მეტყველებაში;
- **აღწერა** – მამაკაცები, ზოგადად აღწერენ სხვადასხვა მოვლენას, ქალები – დეტალურად;
- **კითხვები** – მამაკაცებს შესწვეთ უნარი სწრაფად მოახდინონ საუბრის დროს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება; ქალები კითხვებით ცდილობენ ინფორმაციის მოძიებას;
- **გენდერის კონსტრუირება** ხდება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციით. საუბრები, გაზეთები, ტელევიზია, რეკლამები, სამეცნიერო და აკადემიური ჟურნალები, მუსიკა, კინო და კომუნიკაციის ყველა ფორმა, რომლებიც გადასცემენ შეტყობინებებს, აყალიბებს გენდერის გაგებას [1]. კულტურა კარნახობს საზოგადოების წევრებს გენდერულ ნორმებსა და ქცევებს. ქალები და მამაკაცები აქტიურად ირჩევენ ურთიერთობების წესებს შედეგების მისაღწევად. ამ არჩევანს სოციოკულტურული ნორმები უდევს საფუძვლად.

გენდერული როლების განხილვისას, ეფექტური კომუნიკაცია მოიცავს ასევე კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კომუნიკაციის უნარი თანდაყოლილი თვისება არ არის. მისი სწავლა, დახვეწა შესაძლებელია. ადამიანი სოციალური არსებაა და ყოველდღიურად უხდება ინფორმაციის მიღება-გაცვლა გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეფექტური კომუნიკაცია გულისხმობს არა მარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებასაც. მისი მიზანია, სასურველი საპასუხო რეაქციის გამოწვევა მეორე ადამიანში. ვერბალური კომუნიკაციის წარმართვისას, პრობლემის წარმოშობის ორი მიზეზი არსებობს: არასწორი საუბარი და არასწორი მოსმენა. მსმენელი ყველაზე კარგად იმახსოვრებს საუბრის დასაწყისს და ბოლო ნაწილს. ასევე მნიშვნელოვანია შეგვეძლოს საუბრის მთავარი მესიჯის და სწორად დასმული პოზიციონირების ჩამოყალიბება. აქტიური მოსმენა ეფექტური კომუნიკაციის საფუძველია. მილტონ ერიქსონი იყო პირველი, ვინც თქვა, რომ არსებობს ასოციაციური კავშირი. სიტყვას კომუნიკაციისას 11% უჭირავს, ხმას, ინტონაციას 27%, ჟესტებს მიმიკას და სხვა არავერბალურ მანიშნებლებს 62% [1].

დასკვნა

დღეს ქალთა განვითარების ახალი ეტაპია. ეგალიტარიზმის კონცეფციამ, თანამედროვე მოწინავე დემოკრატიულ საზოგადოებებში, დიდი გამოხმაურება პოვა. ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით აღმოჩნდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. გენდერის თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა აზროვნებაზე, სოციალურ ყოფაზე, მეცნიერულ თეო-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

რიებზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და სხვა. გენდერული როლები შეიცვალა, მაგრამ ისტორიულად ჩამოყალიბებული გენდერული სტერეოტიპები ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია, რადგან მენტალური ცვლილებები ნელა მიმდინარეობს. გენდერული სტერეოტიპის მახასიათებელი ტრადიციული შეხედულებები და კულტურაა, რომელიც დროით არის გამოცდილი, მაგრამ როგორც ჯონ სტიუარტ მილი აღნიშნავდა ,,ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში არსებობა, თავისთავად არ არის არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა ამ მდგომარეობის შენარჩუნებას მომავალშიც“ [5]. ცხოვრება უსწრებს აზროვნების ტემპს, დღეს აღარავის უკვირს მძღოლი, მფრინავი, ექიმი, მასწავლებელი, იურისტი, ინჟინერი, მეცნიერი, ნობელიატი, სახელმწიფოს ხელმძღვანელი ქალი, რაც ერთი საუკუნის წინ თითქმის წარმოუდგენელი იყო. გენდერული როლები ერთმანეთს დაუახლოვდა, რაც ეპოქის მონაპოვარია. ასევე შესაძლებელია გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება, სწორი კომუნიკაცია, რაც სწრაფი და ეფექტური შედეგების მომტანია. ზოგადად, გენდერული სტერეოტიპების საბოლოო დამსხვრევა რთული საკითხია და ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

ლიტერატურა

1. Bai, S. (2005). Gender and the Communication Process. Collection of Scientific Works “Language and Culture”, No. 10, pp. 205-218.
2. Bandzeladze, M. (2017). PR and Gender Stereotypes, Proceedings of the International Scientific Conference “World and Gender”. Tbilisi: Georgian Technical University Publishing House.
3. Zurikashvili, P., Maghradze, G., Zhanishvili, N., Khutsishvili, G., Jorbenadze, R. & Maghradze, T. (2003). Conflict, Gender and Peacebuilding, Gender Theories. Tbilisi: United Nations Development Fund for Women.
4. Kiknadze, T. & Donadze, N. (2006). Gender-Social and Political Studies. Tbilisi: Social Sciences Center Publishing House.
5. Mill, J. S. (2017). On Freedom, An Introduction to Modern Thought. Tbilisi: Ilia State University Press.
6. Kipiani, M. (2021). Gender Stereotypes and Contemporary Practice. Journal "Themis", N14(16).
7. Ashok, R. (2024). More Roles of Gender in Modern Society. International Journal for Multidisciplinary. Research (IJFMR).
8. Boboltz, S. (2017). 9 Facts That Prove Traditional Definitions Of Gender Roles Are Bullsh*t. Retrieved from https://www.huffpost.com/entry/gender-facts-traditional-roles_n_5115265
9. Conn, L. (2023). Pew Finds More Dads Are Becoming Homemakers — That’s Good News For Everyone. Retrieved from https://www.forbes.com/sites/lisaconn/2023/08/29/pew-finds-more-dads-are-becoming-homemakers---thats-good-news-for-everyone/
10. Lorber, G. (1994). Paradoxes of Gender. Yale Univesity Press.
11. Nash, J. (2016). Gender Roles in Modern Society. Retrieved from https://www.oneworldeducation.org/our-students-writing/gender-roles-in-modern-society/
12. Payne, L. (2024). Gender Role. Britannica. Retrieved from https://www.britannica.com/topic/gender-role
13. Ryabova, T.B. (2024). Stereotypes and stereotyping as a problem of gender studies. Retrieved from https://cens.ivanovo.ac.ru/publications/riabova-stereotipy.htm

UDC 316.4
SCOPUS CODE 3318
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-437-444

Cheracteristics of Gender Stereotypes

Maia kipiani Department of Law and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kipianimaia@gmail.com

Maia Topuria Department of Social science, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: topuriamaia12@gtu.ge

Reviewers:

L. Metreveli, Professor, Faculty of engineering economics, media technologies and social science, GTU
E-mail: metreveli.lia@mail.ru, metrevelilia@gtu.ge

E. Alaverdovi, E. Alaverdovi, Professor, Faculty of law and international relations, GTU
E-mail: alaverdoviemilia07@gtu.ge

Abstract. In the scientific article cherecteristicsof Gender Stereotypes", the issue of gender stereotypes is examined through the lens of gender theory and the concept of egalitarianism. Despite the fact that advanced democratic states place great emphasis on gender equality, full equality has not yet been achieved. The reason for this is stereotypical thinking. In gender theory, stereotypical clichés are particularly noteworthy, as they shape attitudes toward women. The study emphasizes that traditional gender-stereotypical thinking often creates artificial barriers and a gap between the gender roles of men and women. The essence of gender stereotypes and their negative impact on societal mentality are explained. The article presents an analysis of the results of studies conducted by McKinsey in 2023-2024.

One of the outcomes of gender policy highlighted in the article is the increasing presence of female politicians in the modern world. Special attention is given to one of the key tools that support the advancement of female leaders—nonverbal communication. The article brings to the forefront the main characteristics of female politicians—strong character, ambition, perseverance, and patience—traits that were previously attributed primarily to men. It is emphasized that despite the convergence of feminine and masculine traits, gender stereotypes have not been entirely dismantled, as mental shifts occur gradually. The characteristics of gender stereotypes is their persistence.

Keywords: Stereotypes; Gender' Egalitarianism; Gender equality; Mentality; Female politician; Nonverbal communication.

განხილვის თარიღი 28.01.2025
შემოსვლის თარიღი 03.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025